საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

**Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia**

KA030171174800119

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

**№ 01/8215** **08 / მაისი / 2019 წ.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ მამუკა ბახტაძეს

**ბატონო მამუკა,**

მოგახსენებთ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2019 წლის 20-28 მაისს მიწვეული ვარ შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის 72-ე სესიაზე, ხოლო 2019 წლის 29-30 მაისს - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 145-ე სესიაზე, საბჭოს წევრის სტატუსით.

ასამბლეის ფარგლებში, ზოგადი დისკუსიის პლენარულ სესიასა და საქართველოს თანაორგანიზებით დაგეგმილ პარალელურ ღონისძიებაზე გათვალისწინებულია ჩემი სიტყვით გამოსვლა საყოველთაო ჯანდაცვის საკითხებზე.

ასევე, იგეგმება ორმხრივი შეხვედრების გამართვა ევროპის რეგიონის ქვეყნების ჯანდაცვის მინისტრებთან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული დირექტორის თანამდებობაზე ქალბატონი ნატა მენაბდის კანდიდატურის მხარდაჭერის მიზნით.

აღმასრულებელი საბჭოს 145-ე სესიაში მონაწილეობა ფინანსდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, ხოლო ასამბლეის 72-ე სესიაში - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში გამგზავრება დაგეგმილი მაქვს 2019 წლის 19 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით და 2019 წლის 28 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით.

გთხოვთ, თქვენს თანხმობას.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო